პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 240
(6551)

16 1979 წ. დეკემბერი, კვირა.
ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

სსრ კავშირის 47-ე ჩემპიონატი

ექსპერიმენტით მთავარი მიზნისკენ

თბილისი. სპორტის სასახლე. 14 დეკემბერი.

„დინამო“ თბილისი) — ვეფ-ი (რიგა) 85:82 (39:37).

„დინამო“: დერიუგინი (21), მ. ქორქია (14), ჩიხლაძე (10), პულავსკი (10), ბახტურიძე (6), ბიჭიაშვილი (6), ნ. ქორქია (6), მილოვიდოვი (4), ხინჭარაძე (4), ბოროდაჩევი (2), ჯორჯიკია (2).

ვეფ-ი: დუდოროვი (19), ზვანსი (16), ბალოდისი (16), ჟეიგურსი (15), ბირზნიეკსი (12), კალნინში (2), ვისოცკისი (2), ჩირკოვი, გრობინში, ვალტერსი, კრიშტოპანსი.

მსაჯები: გ. მუხამეძიანოვი (ყაზანი), ვ. შამისი (ლენინგრადი).

დუბლიორები — 60:74.

ნებისმიერი გუნდი ნებისმიერი ტურნირის წინ, ბუნებრივია, რაც შეიძლება უკეთესი ადგილის დაკავებას ისახავს მიზნად, მაგრამ არც თუ იშვიათად სხვა საარუნავიც აქვს ხოლმე კოლექტივს. ქართული კალათბურთის მთავარი გუნდი, გუნდი, რომლის მიერ მოპოვებული წარმატებებიც განსაზღვრავს რესპუბლიკაში კალათბურთის დონეს, რომლის სახეც, ფაქტიურად, ჩვენი კალათბურთის სახეა, კარგა ხანია, თაობათა ცვლის მტკივნეულ პროცესს განიცდის და სპორტული მაჩვენებლებიც, რაღა თქმა უნდა, შესაბამისი აქვს, ისეთი, გულახდილად თუ ვიტყვით, ჩვენს ტრადიციას რომ არ ესადაგება. მიზეზი ბევრია — ბავშვთა კალათბურთით დაწყებული, ბაზებითა და რაიონებში სპორტის ამ სახეობისადმი უგულისყურო დამოკიდებულებით გათავებული. ყველა ამ მიზეზთა ერთობლიობა უკვე ისეთ სიძნელეებს ჰქმნის, რომ მათი ხელის ერთი მოსმით მოგვარება შეუძლებელია. სასიამოვნოა, რომ თუმცა დაგვიანებით, მაგრამ მაინც ატყდა განგაში, იდგმება ნაბიჯები მწვრთნელთა დასარაზმავად, საქართველოს სპორტკომიტეტი კალათბურთის ფედერაციასთან ერთად ყველა ღონეს ხმარობს ქართული კალათბურთის მოშვებული ჰანჰიკების გასამაგრებლად და, თუმცა ამ მუშაობის ნაყოფი მოგვიანებით უნდა გამოჩნდეს, ბევრი რამ დღესვე შეიძლება დავინახოთ უშუალოდ „დინამოს“ მაგალითზე.

ჩემპიონატის სტარტზე ჩვენს ყურადღებას, რა თქმა უნდა, ჩვენი უპირველესი კოლექტივი იპყრობს. გუნდმა ორი მატჩი ითამაშა, ორივეში გაიმარჯვა, მაგრამ ამ მეტად საჭირო ქულებთან ერთად აიღო თუ არა მან ის გეზი, ახალი, უფრო ძლიერი კოლექტივის შესაქმნელად რომ არის საჭირო და, ვფიქრობ, არანაკლებ საინტერესო. თუნდაც იმიტომ, რომ უკანასკნელ სამ ჩემპიონატში გუნდი უფრო წმინდა სატურნირო პრობლემით იყო დაკავებული — არც ექსპერიმენტის დრო ჰქონდა და არც საშუალება. სამი სეზონის

(დასასრული მე-3 გვ.).

• • •

სსრ კავშირის ჩემპიონატის მორიგ მატჩში „დინამოს“ კალათბურთელები შეხვდნენ რიგის ვეფ-ს და გაიმარჯვეს — 85:82. ამ მატჩში გუნდის მწვრთნელებმა რამდენიმე ახალბედა სპორტსმენი გამოსცადეს, მათ შორის — ი. მილოვიდოვი № 14.

მ. დათიკაშვილის ფოტო.
(საქინფორმი).

● ჰორიზონტზეა ლეიკ-პლესიდი

ფავორიტები პოზიციებს ინარჩუნებენ

გაიმართა სამთო მოთხილამურეთა მსოფლიო თასების გათამაშების მორიგი შეხვედრები. ვალ დ, იზერში ვაჟები გიგანტურ სლალომში შეეჯიბრნენ ერთმანეთს. ყველაზე სწრაფად დაეშვა შვედი ი. სტენმარკი — 2.37,61. შესანიშნავად გამოვიდა ბ. კრიჟაი (იუგოსლავია). იგი სტენმარკს ოდნავ ჩამორჩა და II ადგილი დაიკავა. ფინიშთან მესამე იყო ჰ. ენი (ავსტრია) — 2.38,24.

შეჯამდა კომბინაციის მაჩვენებლები. გიგანტური და სწრაფდაშვების ჯამში პირველი ადგილი დაიკავა ფ. მარემ (აშშ), რომელსაც 27 ქულა დაუგროვდა. იგი გიგანტურ სლალომში მხოლოდ მე-14 იყო, სწრაფდაშვებაში — 29-ე. კომბინაციაში მეორე შედეგი აღმოაჩნდა მის ძმას, სტივ მარეს.

შემდეგ ვაჟებმა იტალიაში გადაინაცვლეს და მადონა დი კამპილიოს მიდამოებში სლალომში შეეჯიბრნენ ერთმანეთს. 450-მეტრიან ტრასაზე ორი ცდის ჯამში ყველას აჯობა სტენმარკმა — 1.37,2. ამ გამარჯვებამ მას საშუალება მისცა მსოფლიო თასის გათამაშებას 50 ქულით მოქცეოდა სათავეში. აქაც მეორე იყო კრიჟაი — 1.37,59. შემდეგ გაიმართა ასპარეზობა გიგანტურ სლალომში. უძლიერესი აქ კვლავ შვედი ი. სტენმარკი იყო—2.49,71. საინტერესოა, რომ პირველ ცდაში მან მეხუთე შედეგი აჩვენა. მეორე ადგილზეა შვეიცარიელი ჟ. ლიუტი — 2.50,03, მესამეზე — იუგოსლაველი ბ. კრიჟაი — 2.50,86.

ქალებიც იტალიაში, ოღონდ ლიმონე-პიემონტის მიდამოებში ცდიდნენ ძალებს გიგანტურ სლალომში. ბადალი არ ჰყავდა ჰ. ვენცელს (ლიჰტენშტეინი)—2.23,19. თასის გათამაშებაში ლიდერობას მაინც ინარჩუნებს მ. ნადიგი (შვეიცარია), რომელსაც 75 ქულა აქვს. ვენცელი 66 ქულით II ადგილზე გავიდა.

ოლიმპიელთა გარეშე

სანიგაო სპორტის საერთაშორისო ფედერაციამ მიიღო გადაწყვეტილება მიმდინარე სეზონიდან რეგულარულად გამართოს მსოფლიოს თასის გათამაშება. მისი პირველი ეტაპი ავსტრიაში, ინსბრუკის ოლიმპიურ ტრასაზე გაიმართა. ასპარეზობაში 10 ქვეყნის ეკიპაჟი მონაწილეობდა. აქ იყვნენ საბჭოთა კავშირის, გდრ-ის, გფრ-ის, იტალიის, ავსტრიის, აშშ-ის, კანადის უძლიერესი სპორტსმენები, ვინაიდან ისინი უკვე ლეიკ-პლესიდში ემზადებიან ოლიმპიური სტარტებისთვის. და მაინც, თითქმის ყველა საპრიზო ადგილი გდრ-ის, იტალიისა და ავსტრიის სპორტსმენებმა მოიგეს.

ვაჟთა შორის ერთადგილიანებით დაშვებაში 20 წლის მ. ვალტერმა (გდრ) და იტალიელმა ე. ხასპინგერმა გაიყვეს I ადგილი. ორივემ ზუსტად ერთნაირი შედეგი — 2.35,875 აჩვენა, ორადგილიანებით იმარჯვეს ლიუკინგერმა და შპოტმა (ავსტრია) —1.25,748. ქალთა შორის იმარჯვა აუერმა (იტალია) — 2.07,907.



ЧЕМПИОНАТ СОВЕТСКОГО СОЮЗА ПО ШАХМАТАМ

უმაღლესი ლიგა

გუშინ გაიმართა IX ტურის შეხვედრები. კოზლოვსკაიამ მოუგო მინოგინას, სემიონოვამ —ლიტინსკაიას, ზაიცევამ — სტუპინას, ბელავენეცმა — პოპივოდას. ყაიმით დამთავრდა ახმილოვსკაია — გრინფელდისა და ვორონოვა — კობაიძის პარტიები. ჩიბურდანიძე — ლევიტინას, მუჩნიკ — გაფრინდაშვილისა და ალექსანდრია — ფატალიბეკოვას შეხვედრები გადაიდო.

ცხრა ტურის შემდეგ ლიდერობს მ. ჩიბურდანიძე — 5,5 ქულა და ორი გადადებული პარტია.

დღეს გაიმართება გადადებული პარტიების დამთავრება, ხვალ — X ტური.

კონტრთამაშმა დაიგვიანა

როდესაც IX ტურში მ. ჩიბურდანიძემ თ. მინოგინას მხედარი შესწირა, დარბაზი გაინაბა. ჭადრაკის დედოფალი ტყუილად არაფერს სწირავს. მოსკოველი ოსტატი არ ჩქარობდა ძღვენის მიღებას, თუმცა ცაიტნოტი ახლოვდებოდა. ბოლოს მან აიყვანა მხედარი. ჩიბურდანიძის პოზიცია ძალიან სახიფათო ჩანდა. მისი მეტოქე კონტროლს უწევდა მთელ დაფას. და აი, მაიამ ზედიზედ განაგრძო შეწირვები: სამსხვერპლოზე ჯერ მეორე მხედარი, მერე ეტლი მიიტანა, ოღონდ მინოგინას მეფეს მიწვდომოდა. თეთრი გვირგვინოსანი საიმედოდ დაცული აღმოჩნდა. ჩემპიონის ლაშქარი საგრძნობლად შეთხელდა და მან მეტოქეს გამარჯვება მიულოცა. ეს იყო მინოგინას ახალი სენსაცია. პირველი ნ. გაფრინდაშვილთან მოგება გახლდათ.

— რა მოხდა, ჩემპიონიც ადამიანია და წაგებაც უცხო არ უნდა იყოს, — თქვა ჩიბურდანიძის ერთმა ქომაგმა. მერე ისიც გაიხსენა, რომ მსოფლიო ჩემპიონის ტიტულის მოპოვების შემდეგ (1978 წ. ოქტომბერი) მაიას უთამაშია ბელგრადის, ბად-კისინგენის ქალთა საერთაშორისო ტურნირებში, არგენტინაში ქალთა VIII საჭადრაკო ოლიმპიადაში, სსრ კავშირის ხალხთა ზაფხულის VII სპარტაკიადაში და არც ერთი პარტია არ წაუგია.

ორიოდე სიტყვა ამ პარტიის შესახებ. ჩიბურდანიძემ მწვავე ძველინდური დაცვა გამოიყენა, მაგრამ ინიციატივას ვერ დაეუფლა. მერე ხელი მიჰყო თამაშის გართულებას, მაგრამ მინოგინა ფხიზლად იყო. მან შეძლო ლაზიერის ფრთის პაიკების წყობის დაშლა და საიერიშოდ გზები გაიხსნა. მაიას კონტრიერიშმა მეფის ფრთაზე დააგვიანა...

17 წლის ე. სტუპინამ ეფექტურად დააგვირგვინა თამაში დიდოსტატ ვ. კოზლოვსკაიასთან (პიატიგორსკი): ეტლის შეწირვით მრისხანე მეტოქის მეფეს გარდუვალი შამათის მუქარა შეუქმნა. ამ გამარჯვებით მიჩურინსკელ გოგონას 4 ქულა დაუგროვდა და სპორტის ოსტატის ნორმატივის შესასრულებლად 3,5 ქულაღა სჭირდება.

ი. ლევიტინა და ე. ახმილოვსკაია დაზავდნენ.

დანარჩენი პარტიები გადაიდო. ნ. გაფრინდაშვილი პაიკს უგებს მ. პოპივოდას (მოსკოვი). ნ. ალექსანდრიას ზედმეტი პაიკი აქვს ა. გრინფელდთან (კალინინგრადი), მ. ლიტინსკაიას ორი პაიკი ლ. ბელავენეცთან (მოსკოვი). რთულ პოზიციებში შეწყდა ლ. სემიონოვა (კიევი) — ტ. ვორონოვას (რიგა) და ც. კობაიძე — ლ. ზაიცევას (მოსკოვი) შეხვედრები. ეტლების დაბოლოებაში ე. ფატალიბეკოვას (მოსკოვი) პოზიცია ლ. მუჩნიკთან (ჟიტომირი) უფრო აქტიურია.

თ. გიორგაძე.

● ძალოსნობა

იუნიორის საკავშირო რეკორდი

ფრუნზეში მიმდინარე ძალოსანთა საკავშირო შეჯიბრებაში კიდევ 2 წონით კატეგორიაში გამოვლინდნენ თასის მფლობელები და ჩემპიონები.

82,5 კგ წონის ათლეტებში სსრ კავშირის თასის მფლობელი გახდა 17 წლის გროზნოელი ი. არსამაკოვი — 355 კგ. ეს იუნიორთა ახალი საკავშირო რეკორდია. გროზნოელმა საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატობა შეასრულა და ჩემპიონის ოქროს მედალიც მოიხვეჭა ატაცში — 160 კგ. აკვრაში ყველას აჯობა ბაქოელმა ვ. ქილიაევმა — 197,5 კგ.

90 კგ წონაში გაიმარჯვა გამოცდილმა მინსკელმა ათლეტმა ვ. შარიიმ. ორჭიდში მან 390 კგ დააგროვა. ასეთივე შედეგი ჰქონდა გროზნოელ ა. საიდულაევს, მაგრამ იგი მეტოქეზე 200 გრამით მძიმე აღმოჩნდა და II ადგილით დაკმაყოფილდა. სამაგიეროდ გროზნოელმა ოქროს მედალი მოიგო ატაცში — 175. შარიი საიდულაევს 5 კილოგრამით ჩამორჩა, აკვრაში კი 220 კილოგრამი დაძლია და ოქროს მედლის მფლობელი შეიქნა.

დაჯილდოება

რესპუბლიკაში ფიზიკური კულტურისა და სპორტის განვითარების საქმეში გაწეული ნაყოფიერი მუშაობისთვის, დაბადების 75 წლისთავთან დაკავშირებით, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, მშრ კომპლექსის რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარე, სპორტის დამსახურებული ოსტატი **გიორგი იაკობის ძე ზხვაცაბაია** საქართველოს სპორტკომიტეტმა დააჯილდოვა საპატიო სიგელით.

ფიზკულტურა ჩვენს ეზოში

ერთი რაიონის შუქი და ჩრდილი

თუ რა დიდი მნიშვნელობა ენიჭება საცხოვრებელი ადგილების მიხედვით მასობრივ ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელ მუშაობას, ლაპარაკი ზედმეტია.

ამ მხრივ ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქში ერთ-ერთი მოწინავეა ორჯონიკიძის სახელობის რაიონი. იგი ბოლო ორი წელია ინარჩუნებს გამარჯვებულის სახელს. რაიონში თავმოყრილია დედაქალაქის სპორტული ბაზების უმეტესობა. ფეხბურთის — 2, მინი-ფეხბურთის — 8, ფრენბურთის — 6 და კალათბურთის 31 მოედანია მოწყობილი საცხოვრებელ ადგილებში.

14 საბინაო-საექსპლუატაციო კანტორა ემსახურება ქალაქის ამ მჭიდროდ დასახლებულ უბანს. მათი ინიციატივითა და რაიონის ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის (თავმჯდომარე ა. ბეროზაშვილი) დახმარებით ყოველწლიურად ეწყობა მცხოვრებთა „ჯანმრთელობის“ სპარტაკიადები. შეჯიბრებებში თითქმის ყველა მიკრორაიონს გამოჰყავს გუნდი, ისინი ერთმანეთს ეჯიბრებიან ფრენბურთსა და ჭადრაკში, ცურვასა და ტყვიის სროლაში, მაგიდის ჩოგბურთსა და მინი-ფეხბურთში...

სხვებისგან აშკარად გამოირჩევა მიკრორაიონში ვაჟა-ფშაველას VI კვარტალი, რომელსაც № 83 საბინაო-საექსპლუატაციო კანტორა (უფროსი ე. ასკურავა) ემსახურება. იგი ერთ-ერთი საუკეთესოა არა მარტო რაიონში, არამედ ქალაქში. სახლმმართველი სპორტის დიდი მოყვარულია და მიკრორაიონის პედაგოგ-ორგანიზატორ დ. წიკლაურსა და საზოგადოებრივ აქტივს, რომელსაც ა. ჭეხაშვილი თავკაცობს, ყოველწლიურად აქტიურად ეხმარება მცხოვრებთა შორის ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი მუშაობის გაშლაში. ამ მიკრორაიონში გახსნილია გ. გუდაშვილის სახელობის სპორტკლუბი, აქვეა რაიონში განთქმული სტადიონი „მარაკანა“, კალათბურთის, ხელბურთისა და ფრენბურთის კარგად მოვლილი მოედნები, აუზი. ერთი სიტყვით, ფიზკულტურული მუშაობა აქ სათანადო დონეზეა და სასიხარულოა, რომ კარგი ტრადიცია, რომელსაც სპორტის დიდმა ენთუზიასტმა ედუარდ ნიკოლაიშვილმა ჩაუყარა საფუძველი, გრძელდება.

საცხოვრებელი ადგილის მიხედვით ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი მუშაობის წარმართვაში სამაგალითოა № 74 მოსახლეობის კომპლექსური მომსახურების ექსპერიმენტალური სამმართველო. აქაა წარსულში სახელგანთქმული მოკრივის შ. გორგასლიძის სახელობის კლუბი. გახსნილია კრივის, ფეხბურთისა და კალათბურთის სექციები. მათში ძირითადად მოსწავლე-ახალგაზრდობაა ჩაბმული. არც სხვა სახეობებია დავიწყებული. მოსახლეობისთვის უქმე დღეებში ხშირად ტარდება შეჯიბრებები შაშში და ჭადრაკში, ყოველ დილას 20-30 კაცი მაინც ადის კუს ტბაზე, ვარჯიშობენ, დარბიან სუფთა ჰაერზე, ორგანიზმს იკაჟებენ. ყველა ასაკისა და პროფესიის ხალხს ნახავთ აქ.

ყველა ამ საქმის ორგანიზატორი და სულისჩამდგმელია ყოფილი მოკრივე რ. ნამიჩეიშვილი. იგი რამდენიმე წელს აქტიურად მონაწილეობდა მიკრორაიონის სპორტულ ცხოვრებაში, ამიტომაც გამოუცხადეს ნდობა — ორიოდ თვის წინ ფიზკულტურის მეთოდისტად დანიშნეს. ამან ნამიჩეიშვილს საშუალება მისცა უფრო მეტი გულისყურით მოკიდებოდა მოსახლეობაში გამაჯანსაღებელი საქმიანობის გაშლას. უკვე არის შედეგები. სექციებს ყოველდღიურად ემატება წევრები. არც მხარდამჭერა აკლიათ.

სამმართველოს უფროსი ო. რაჭველიშვილი ჯგუფებს ყოველნაირად უწყობს ხელს—ამარაგებს ინვენტარით. „ფალიაშვილის ქუჩაზე არის სათავსო, სადაც სავარჯიშო დარბაზის მოწყობა შეიძლებოდა. ზემდგომი ორგანოები მის შეკეთებას დაგვპირდნენ, მაგრამ ჯერჯერობით საქმე წინ არ წასულა“, გვითხრა მან.

ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი მუშაობა კარგად არის დაყენებული № 82 საბინაო-საექსპლუატაციო კანტორაში (ნ. ნათენაძე). ნაყოფიერად მუშაობს გ. კოსტავას სახელობის კლუბი ნ. ბერაძის ხელმძღვანელობით. მას დიდ დახმარებას უწევენ ს. სვანიძე და ფიზკულტურის მასწავლებელი ზ. ლოლობერიძე.

დამაკმაყოფილებელი მდგომარეობაა № 78 (ვ. ჭიპაშვილი) და № 84 (ი. ბერძენიშვილი) საბინაო-საექსპლუატაციო კანტორების მიკრორაიონებშიც. მაგრამ მოყვანილი ფაქტები სრულად არ ასახავს რაიონის მოსახლეობაში გამაჯანსაღებელი მუშაობის საერთო სურათს. რიგ მიკრორაიონებში ჩამორჩენა საგრძნობია. ეს განსაკუთრებით ითქმის № 75 (კ. ჭიჭინაძე), № 76 (ა. გარსევანიშვილი), № 79 (ზ. მუზაშვილი), № 110 (შ. ნებიერიძე), № 85 (ლ. თოფურია) საბინაო-საექსპლუატაციო კანტორების შესახებ.

ამ მიკრორაიონებსაც ჰყავთ პედაგოგ-ორგანიზატორები, რომლებსაც ევალებათ ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი მუშაობის წარმართვა, მაგრამ... მოვუსმინოთ ზოგიერთ მათგანს.

ლ. ხიხანიშვილი: „ჩვენს საქმიანობაში ფიზკულტურასა და სპორტს მოკრძალებული ადგილი უკავია. მისთვის დრო არ გვრჩება. აუცილებელია ფიზკულტურის მეთოდისტი, რომელიც საფუძვლიანად მოჰკიდებს ხელს საქმეს“.

ტ. რუხაძე: „ფიზკულტურის მეთოდისტი უფრო ადვილად შეძლებს ჩააბას ძნელად აღსაზრდელნი სპორტში, ეს ჩვენც შეგვიმსუბუქებს მუშაობას“.

ე. ჩხაიძე: „სექტემბრის დასაწყისში „სპარტაკის“ წარმომადგენლები ამ საქმეში დახმარებას დაგვპირდნენ, მაგრამ ჯერჯერობით შედეგი არ ჩანს“.

მართლაც ძნელია ერთი ქალი (ყველა პედაგოგ-ორგანიზატორი —ქალია) გაწვდეს ამდენ საქმეს (განსაკუთრებით ფიზკულტურულ მუშაობას), მით უმეტეს, რომ არცერთი ფიზკულტურის სპეციალისტი არაა.

პირველი სავალალო ფაქტი: რაიონის თოთხმეტ საბინაო საექსპლუატაციო კანტორიდან მხოლოდ ერთ მიკრორაიონს ჰყავს ფიზკულტურის მეთოდისტი (?!).

70-იანი წლების დასაწყისში დიდი ინიციატივა გამოიჩინა ფიზკულტურის ინსტიტუტმა. როცა სტუდენტები მიამაგრა მიკრორაიონებს მოსახლეობაში ფიზკულტურული საქმიანობის გასაშლელად. სტუდენტები პრაქტიკულ ჩვევებს იძენდნენ და ადგილებზეც საქმე წინ წავიდა, მაგრამ ამ კარგმა წამოწყებამ რატომღაც დიდხანს ვერ გაძლო.

არსებობს საქართველოს ალკკ თბილისის კომიტეტის, ფიზიკური კულტურისა და სპორტის საქალაქო კომიტეტის, საბინაო მეურნეობის სამმართველოს, განათლების სამმართველოს, დოსააფის საქალაქო კომიტეტისა და კულტურის განყოფილების 1978 წლის 25 ივლისის ერთობლივი დადგენილება საცხოვრებელ ადგილებზე გამოჩენილ სპორტსმენთა სახელობის ფიზკულტურულ-სპორტული, ჯანმრთელობის და სპორტულ-ტექნიკური კლუბების დაარსების შესახებ, მაგრამ...

მეორე სავალალო ფაქტი: დადგენილებას რაიონის ყველა საბინაო საექსპლუატაციო კანტორა გაეცნო, მოიწონა და მაინც... ფაქტიურად რაიონში 14-ის ნაცვლად მხოლოდ 4 ასეთი კლუბია გახსნილი (?!).

მესამე სავალალო ფაქტი შეფებს ეხება. რაიონში არის 30-ზე მეტი საშეფო ორგანიზაცია, რომელთა ამოცანაა თავიანთი წვლილი შეიტანონ მოსახლეობაში გამაჯანსაღებელ - ფიზკულტურული მუშაობის გაშლაში, მაგრამ რომელიმე მათგანი ეხმარება კი ვინმეს?

კეთილი სიტყვა მხოლოდ სამთო-მექანიკის ინსტიტუტზე (დირექტორი ე. მინდელი) თუ ითქმის. მან გაწმინდა სტადიონი, მოაწყო სარბენი ბილიკები, დადგა ჩოგბურთის მაგიდები. ვერ დავემდურებით სამთო-გეოლოგიურ ინსტიტუტსა და გეოლოგიურ სამმართველოს. მეტის დასახელება აშკარად გვიჭირს. სამაგიეროდ, სხვანი ფორმალურად ითვლებიან შეფებად, დასახმარებლად კი თითიც არ გაუნძრევიათ. ასეთებია: „საქნავთი“, „თბილგაზის“ სამმართველო, მთავარმომარაგება, ტრიკოტაჟის № 3 ფაბრიკა, „ტაქსომოტორი“...

კიდევ კარგი, რომ მხოლოდ შეფების იმედად არაა მიტოვებული საქმე. ორჯონიკიძის რაიონის აღმასკომის საბინაო სამმართველოს ინიციატივით ბევრი რამ გაკეთდა. შეკეთდა ოცდაათამდე სპორტული მოედანი, მწყობრში ჩადგა ახალი სპორტული კომპლექსები — „მერცხალი“, „შევარდენი“, „ავაზა“...

მაგრამ უფრო მეტი გასაკეთებელია. ორჯონიკიძის რაიონის სპორტკომიტეტის თავმჯდომარემ ა. ბეროზაშვილმა სინანულით აღნიშნა, რომ სახლმმართველობებს ბევრი მუშაობა მართებთ მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. როგორც წესი, ისინი მხოლოდ მაშინ გამოფხიზლდებიან ხოლმე, როცა რაიმე ღონისძიებაში მონაწილეობისთვის მიიწვევენ.

ზ. ჩიხლაძე.

● ალპინიზმი

პროპაგანდის მიზნით

ახლახანს კრასნოდარში გაიმართა საკავშირო სემინარი მთამსვლელობაში აგიტაცია-პროპაგანდის საკითხებზე.

სემინარი მიზნად ისახავდა მთამსვლელთა შორის იდეოლოგიური და პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის გაშლას, ამ დარგში ზოგიერთ ფედერაციათა გამოცდილების გაზიარებას.

სემინარზე წარმოადგინეს ცალკეულ ფედერაციათა ნამუშევრები ფოტოების, მხატვრული ტილოების, წიგნების, პლაკატების, ბუკლეტების, კინოფილმებისა და სხვათა სახით.

მოხსენება ჩვენს რესპუბლიკაში ჩატარებული მუშაობის შესახებ გააკეთა ამ სტრიქონების ავტორმა.

დიდი მოწონება ხვდა წილად საქართველოს მთამსვლელთა ფედერაციისა და ბავშვთა ხელოვნების გალერიის ერთობლივ გამოფენას („ჩემი მთები“), რომელიც წელს მეორედ ეწყობა, აგრეთვე, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველოს“ მიერ გამოცემულ ბუკლეტებს—„მყინვარწვერი“, „შხარა“, „აილამა“ და სხვა.

სემინარზე მოიწონეს თბილისის ბ. ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის ნორჩ მთამსვლელთა სწავლების პროგრამა. სემინარზე მიღებული დადგენილების პროექტში შეტანილია პუნქტი, სადაც აღნიშნულია, რომ გამოცდილებისა და მუშაობის გაზიარების მიზნით პირველი საკავშირო სემინარი ბავშვთა შორის მუშაობის საკითხებზე დაიგეგმოს ბ. ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკური სასახლის ბაზაზე.

მოსკოვის ოლიმპიურ თამაშებთან დაკავშირებით საკავშირო მთამსვლელთა ფედერაციას განზრახული აქვს წინადადება შეიტანოს ოლიმპიურ კომიტეტში, რათა ამ უდიდესი შეჯიბრების მსვლელობის დღეებში განსაზღვრულ მწვერვალებზე ასვლისთვის ალპინისტები დაჯილდოვდნენ სპეციალური მედლებით.

სემინარზე ხაზგასმული იყო, რომ ყოველი მთამსვლელი თავისი მიღწევებით და საქმიანობით თვითონ არის ალპინიზმის პროპაგანდისტი.

დ. გოზალიშვილი,

საქართველოს ა. ჯაფარიძის სახელობის ალპური კლუბის სასწავლო ნაწილის გამგე.

პირველი ნაბიჯი

მთამსვლელობის პოპულარიზაციის მიზნით „სპარტაკის“ რესპუბლიკური საბჭო ყოველწლიურად აწყობს მასობრივ ალპინიადებს. ამას წინათ გამართულ ლაშქრობაში, რომელიც საქართველოს კომკავშირის ვ. ი. ლენინის ორდენით დაჯილდოებას მიეძღვნა, თბილისის ტოპოგრაფიული ტექნიკუმის მოსწავლეებიც მონაწილეობდნენ.

ალპინიადამდე საქართველოს ალპურ კლუბში მოსამზადებელი შეკრება მოეწყო. შემდეგ დარიალის ხეობაში, სადაც მდინარე ხდე თერგს ერთვის, საბაზო ბანაკი მოეწყო. აქ მომავალმა ალპინისტებმა სამთო სპეციალური მომზადება გაიარეს.

ალპინიადის მონაწილეებს რთულ კლიმატურ პირობებში მოუხდათ მწვერვალ „გორზე“ ასვლა.

უნდა აღვნიშნოთ, რომ მსგავს ლაშქრობაში ნაკლებად მონაწილეობენ საშუალო სპეციალური სასწავლებლები, რომლებიც „სპარტაკს“ ექვემდებარებიან. ისიც უნდა ითქვას, რომ ამგვარ ღონისძიებაში წელს პირველად ვიხილეთ თბილისის ტოპოგრაფიული ტექნიკუმის ახალგაზრდები (დირექტორი გ. კეკელიძე, ფიზკულტურის მასწავლებელი კ. სალუქვაძე).

საერთოდ, ტოპოგრაფებს რთული ადგილ-მდებარეობის აგეგმვა უხდებათ. ხშირად უწევთ მკაცრ ბუნებრივ პირობებში ყოფნაც. მომავალ ტოპოგრაფებს კი მთიან რაიონებში სამუშაოს უკეთ წარმართვისათვის დიდად შეუწყობს ხელს მთამსვლელობაში მიღებული გამოცდილება.

...ტექნიკუმის სააქტო დარბაზში მასწავლებლებმა და მოსწავლეებმა შეხვედრა მოუწყვეს ალპინიადის მონაწილეებს. საქართველოს ალპური კლუბის დირექტორი დ. ობოლაძე დამსწრეთ ესაუბრა საქართველოში ალპინიზმის განვითარებაზე. შემდეგ მოლაშქრეებს გადაეცათ ალპინისტის ნიშნოსნის მოწმობები და სამკერდე ნიშნები.

ტოპოგრაფიული ტექნიკუმის სტუდენტთა მიერ მთამსვლელობაში გადადგმული პირველი ნაბიჯით ამ სასწავლებელში ალპინიზმის სექციის ჩამოყალიბების საფუძველი შეიქმნა.

ლ. დუნდუა.

• • •

სურათზე: ლაშქრობის მომენტი.

კოოპერატორთა რესპუბლიკური

სამტრედიის დოსააფის სასროლეთზე გაიმართა სამომხმარებლო კოოპერაციის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის IV სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული პირად-გუნდური პირველობა მცირეკალიბრიანი შაშხანის სროლაში. ცეცხლის ხაზზე გამოვიდა 12 გუნდის 36 ვაჟი და 24 ქალი.

ვაჟთა შორის ყველას აჯობა ზ. ვაშაკიძემ. მან 100-დან 92 ქულა მოაგროვა და 3 ქულით გაასწრო მეორე პრიზიორს რ. რეხვიაშვილს (ორივე — ქუთაისის კოოპერაციული ტექნიკუმი). სამტრედიის რაიკავშირის წარმომადგენელი ვ. გრანოვსკი მესამე პრიზიორი გახდა — 87 ქულა.

ქალებში ყველაზე კარგად ისროდა დ. ხარშილაძე — 87 ქულა. მომდევნო ადგილები დაიკავეს ფ. გოგებაშვილმა (ორივე — ქუთაისის კოოპერაციული ტექნიკუმი) — 76 ქულა და თერჯოლელმა კოოპერატორმა ნ. კვენეტაძემ — 64.

გუნდური საპრიზო ადგილები ასე განაწილდა: ქუთაისის კოოპერაციული ტექნიკუმი, სამტრედიისა და სიღნაღის რაიკოოპკავშირის მსროლელები.

ი. ნიკოლეიშვილი.

მასწავლებელთა შორის

დამთავრდა თბილისის მასწავლებელთა სპარტაკიადა. შედეგები შეჯამდა კიდევ 4 სახეობაში. საერთო გუნდურ ჩათვლაში ყველაზე კარგად იასპარეზეს პირველი მაისის სახელობის რაიონის პედაგოგებმა, რომლებმაც იმარჯვეს ჭადრაკში და კალათბურთში (ვაჟები და ქალები), ფრენბურთელმა ვაჟებმა II ადგილი მოიპოვეს, ქალები კი III ადგილზე გავიდნენ.

საერთო გუნდური II ადგილი ხვდათ ოქტომბრის რაიონის წარმომადგენლებს. ისინი უძლიერესნი იყვნენ როგორც ქალთა, ისე ვაჟთა ფრენბურთში და III ადგილი მოიპოვეს მაგიდის ჩოგბურთში.

ლენინის რაიონის ნაკრები საერთო III ადგილზე გავიდა. მათი ეს წარმატება განაპირობა II საპრიზო ადგილმა კალათბურთელ ქალთა შეჯიბრებაში და III ადგილმა ჭადრაკში. ამას გარდა, ლენინის რაიონის სპორტსმენები დამაკმაყოფილებლად ასპარეზობდნენ სხვა სახეობებში.

თავის შესაძლებლობაზე ცუდად გამოვიდა ორჯონიკიძის რაიონის სახელობის პედაგოგთა კოლექტივი, რომელმაც მართალია, ყველას აჯობა მაგიდის ჩოგბურთში და III იყო კალათბურთელ ვაჟთა ასპარეზობაში, მაგრამ იმის გამო, რომ კალათბურთელ ქალთა შეჯიბრებაში მონაწილეობის მიღება ვერ შეძლო, საერთო ჩათვლაში საპრიზო ადგილის მიღმა დარჩა.

კალათბურთში ქალთა შორის გუნდები ვერ გამოიყვანეს, აგრეთვე, კალინინის, 26 კომისრისა და საქარხნო რაიონების პროფკავშირების კომიტეტებმა.

მ. ბრეგვაძე.

დამატებით ხუთ წუთში

თბილისი. სპორტის სასახლე. 14 დეკემბერი.

„სტროიტელი" (კიევი) — „ჟალგირისი" (კაუნასი) 93:96 (48:36, 85:85).

„სტროიტელი": კოჟელიანკო (23), რიჟიკი (20). მათ გარდა ითამაშეს მარტინოვმა, შაპტალმა, კორობკოვმა, შევჩენკომ, ხომიჩმა, სმილიაკოვმა.

„ჟალგირისი": ლინკიავიჩუსი (26), იოვაიშა (19). მათ გარდა ითამაშეს არლაუსკასმა, ჩივილისმა, ჟუკაიტისმა, ლაურიტენასმა, ვასილიაუსკასმა, ბაზიუკასმა, ხომიჩუსმა, ვალიკონისმა.

მსაჯები: ვ. ზაიცევი (მოსკოვი), ი. აპოლონოვი (ლენინგრადი).

დუბლიორები — 79:119.

ისევე როგორც წინა შეხვედრაში, კიეველებს ამჯერადაც დამატებითი დრო დასჭირდათ სათამაშოდ, მაგრამ თუ რიგელებთან მათ ბედი სწყალობდათ, კაუნასელებთან ყველაფერი პირუკუ მოხდა.

„სტროიტელი" თავიდანვე დაწინაურდა — ანგარიშში სხვაობამ 7 ქულა შეადგინა. ტაიმის დასასრულს კი კოჟელიანკოსა და რიჟიკის ზუსტი ტყორცნების წყალობით უკრაინელები შესვენებაზე 12-ქულიანი სხვაობით წავიდნენ.

მეორე ტაიმში კაუნასელებმა პრესინგს მიმართეს. ამან საშუალება მისცა მათ ანგარიშში სხვაობა შეემცირებინათ, 35-ე წუთზე კი გაეთანაბრებინათ კიდეც — 73:73. როცა თამაშის დრო ამოიწურა, ტაბლო ფრეს უჩვენებდა — 85:85. დამატებით 5 წუთში კაუნასელებმა დაჯაბნეს მეტოქე და დამსახურებულად გაიმარჯვეს.

სსრ კავშირის 47-ე ჩემპიონატი



ტალინის ტური

კალათბურთელ ვაჟთა გუნდების ტალინის ტურში გაიმართა მორიგი შეხვედრები, რომლებიც ასე დამთავრდა: ცსკა — „ლოკომოტივი" (ნოვოსიბირსკი) 121:69, (59:35), „კალევი" (ტალინი) — „სპარტაკი" (ლენინგრადი) 66:74 (44:38), ასკ (კიევი) — „დინამო" (მოსკოვი) 108:133 (56:62).

□

გუშინ

თბილისის სპორტის სასახლეში გაიმართა მორიგი შეხვედრები: **რტი (მინსკი) — „ჟალგირისი" (კაუნასი) — 81:88 (38:51).**

„დინამო" (თბილისი)—„სტროიტელი" (კიევი) 82:81 (38:45).

□

დღეს

თბილისის სპორტის სასახლეში გაიმართება ერთი მატჩი: „სტატიბა" (ვილნიუსი) — ვეფი (რიგა). დასაწყისი 17 ს.

ხვალ კი მორიგი ტურის შეხვედრებია: **„სტროიტელი" (კიევი) —რტი (მინსკი).** დასაწყისი 17 ს. **ვეფი (რიგა) — „ჟალგირისი" (კაუნასი).** 18 ს. 30 წთ. **„სტატიბა" (ვილნიუსი) — „დინამო" (თბილისი).** 20 ს.

ამავე დღეს გაიმართება ამ გუნდების დუბლშემადგენლობათა მატჩები. დასაწყისი 11 ს. 30 წთ.



ექსპერიმენტით მთავარი მიზნისკენ

დასასრული

მანძილზე გულისტკივილით შევცქეროდით ერთ დროს სახელგანთქმულ კოლექტივს, რომელიც ცოტაც და უფსკრულში უნდა გადაჩეხილიყო. ერთი სიტყვით, „დინამო", რომ იტყვიან, დღევანდელი კვერცხის თეორიით ცხოვრობდა.

სულ ორი მატჩი ითამაშეს თბილისელებმა და უკვე შეიძლება ერთი სასიამოვნო გარემოების აღნიშვნა: ლევან მოსეშვილი გაბედულად დაადგა იმ გზას, ექსპერიმენტი რომ ჰქვია. და თუმცა სახიფათოა ეს გზა, შეიძლება ბევრი უკმაყოფილოც გამოჩნდეს, სპორტსმენებშიც, სპეციალისტებშიც, მაყურებელთა ერთ ნაწილშიც, შეიძლება გაუთვალისწინებელი მარცხიც იწვნიოს გუნდმა, მთლად სახარბიელო სატურნირო პოზიციაც ვერ დაიჭიროს, მაგრამ ეს აუცილებელია, თანაც სწორედ მომავლის თვალსაზრისით. საკითხი ასე უნდა დაისვას: თბილისის „დინამომ" წლეულს თუ არა, მერმის თუ არა, სამი წლის შემდეგ მაინც უნდა მოიცილოს საშუალო გუნდის ერთობ შეუფერებელი სახელი.

მინსკელებთან მატჩში ბოროდაჩევი ვიხილეთ მოედანზე, რიგის ვეფ-თან კი სასტარტო ხუთეული ასე გამოიყურებოდა: მ. ქორქია, ნ. ქორქია, დერიუგინი, ბახტურიძე, მილოვიდოვი. ბოლო ორი სულ ახალი სახელია. მოგვიანებით კიდევ ერთი ახალბედა, ჯორჯიკიაც ჩაერთო თამაშში. რა თქმა უნდა, არც სინჯარაძეზე ითქმის, გუნდის ძველი ბინადარიაო. მერედა რა ვუყოთ, რომ გამარჯვება არც ისე შთამბეჭდავი იყო, რომ მთელი სიმძიმე ჯერჯერობით გუნდის ლიდერებზე გადადის. ეს ბუნებრივია, მაგრამ ადრე თუ გვიან ახალბედებიც იტყვიან თავისას, ჯერ კი თამაშია საჭირო, ვარჯიში და თამაში...

გუშინწინდელი მატჩის ბედი ძირითადად ორმა დუელმა გადაწყვიტა: მიხეილ ქორქია — ქვიგურსი და დერიუგინი — კალნინში. ორივე ორთაბრძოლაში გამარჯვებული დინამოელები გამოვიდნენ — ქვიგურსსაც და კალნინშსაც 5-5 პერსონალური შენიშვნის გამო მოედნის დატოვება მოუხდათ. ეს იყო მეორე ტაიმის მე-5 წუთზე. ამის შემდეგ ვეფ-ი ერთხანს კიდევ ცდილობდა წინააღმდეგობის გაწევას, მაგრამ ძალთა თანაფარდობა აშკარად თბილისელთა სასარგებლოდ მეტყველებდა. დაახლოებით შუა ტაიმში ერთქულიანი სხვაობა 10-მდე გაიზარდა, მერე კი „დინამომ" ძალების დაუძაბავად აქცია ეს უპირატესობა გამარჯვებად.

უნდა ითქვას, რომ მ. ქორქიამაც და დერიუგინმაც ბევრად უკეთესად ითამაშეს მეორე შეხვედრაში. სასიამოვნო შთაბეჭდილება დატოვეს დებიუტანტებმა, ჯერჯერობით ჩრდილშია გრძელიძე, თუმცა, უნდა ვიფიქროთ, რომ ეს დროებითი მოვლენაა.

ერთი დეტალიც: წუთშესვენებას კალათბურთში ერთადერთი დანიშნულება აქვს — მწვრთნელმა სპორტსმენებს დროული და საჭირო დარიგება უნდა მისცეს. საეჭვოა, რომ იმ „მუსიკალურ ხმაურში", რეპროდუქტორებიდან რომ მოისმის ამ წუთშესვენებისას, მწვრთნელსა და სპორტსმენებს ერთმანეთისა რაიმე ესმოდეთ. გუნდების ინტერესებიდან გამომდინარე, უკეთესი იქნებოდა მუსიკალური „ტაიმ-აუტები" მატჩებსა და ტაიმებს შორის შესვენებებისთვის გამოგვეყენებინა.

ი. ბერიაშვილი.

* * *

სურათებზე: შეტევაზეა დინამოელთა მცველი ნ. ქორქია; „ჟალგირისისა" და „სტროიტელის" მატჩის მომენტი — მეტოქის კალათს უტევს ს. იოვაიშა.

მ. დათიკაშვილის ფოტო.

(საქინფორმი).

არბიტრთა აზრით

„ლელოს" ინტერვიუ

ჩვენი კორესპონდენტი ლ. ცხვარაძე შეხვდა ჩემპიონატის თბილისის ტურზე მოწვეულ არბიტრებს და სამი კითხვა მისცა მათ.

1. თბილისის ტურის პირველი შთაბეჭდილებები?

2. ახლახან სსრ კავშირის ნაკრების უფროსმა მწვრთნელმა ა. გომელსკიმ გაზეთ „სოვეტსკი სპორტის" ფურცლებზე გამოთქვა რამდენიმე მოსაზრება მსაჯობაზე. როგორია თქვენი აზრი?

3. როგორ აფასებთ ცსკა-ში ნაკრების თითქმის ყველა წევრის თავმოყრას?

ო. კამიშევი,

ტურის მთავარი მსაჯი:

1. ჩემი აზრით ჩემპიონატის პირველმა დღემ კარგად ჩაიარა. ორგანიზებული იყო საზეიმო გახსნა. ორივე მატჩი საინტერესო გამოდგა. ვფიქრობ, სპორტის სასახლეში შეკრებილმა გულშემატკივრებმა სიამოვნება მიიღეს თბილისის „დინამოს" გამოსვლით. გუნდმა II ტაიმში აჩვენა სწრაფი, გააზრებული თამაში, სწორედ ისეთი, როგორითაც ყოველთვის განთქმული იყო ქართული კალათბურთი. კოლექტივის კარგად მომზადება და თამაშის ასეთი ორგანიზება უეჭველად მწვრთნელის ლევან მოსეშვილის დამსახურებაა. მატჩის შედეგი სავსებით კანონზომიერი იყო. მინდა აღვნიშნო, რომ ჩამოსულ გუნდებს, მწვრთნელებსა და მსაჯებს თამაშისა და დასვენებისთვის მასპინძლებმა კარგი პირობები შეუქმნეს.

2. გომელსკის გამოსვლა სამართლიანია. არსებობს განსხვავება ამერიკის და ევროპის მსაჯობას შორის. ამერიკელები არ უარყოფენ უხეშ თამაშს, ამიტომ ჩვენ გვიძნელდება საზღვარგარეთ შეხვედრებში მონაწილეობა. მსაჯი უნდა არჩევდეს სად არის დარღვევა და როდის უნდა შეაჩეროს თამაში. ყოველივე ამის სათანადოდ გაკეთება მხოლოდ კვალიფიციურ მსაჯებს შეუძლიათ. თუ გვინდა, რომ არბიტრებმა ხარისხიანად იმსაჯონ, მწვრთნელებმა უნდა ასწავლონ მოთამაშეებს თამაში მჭიდროდ, მაგრამ სუფთად. ამრიგად, ეს საკითხი უნდა გადაწყდეს მსაჯების და მწვრთნელების დონეზე, რის შესახებაც გომელსკის არ უთქვამს.

სექტემბერში მექსიკაში გამართულ უნივერსიადაზე მიწვეული ვიყავი მსაჯად. მიწვეულნი იყვნენ, აგრეთვე, პანამის, აშშ-ს, ბრაზილიის, მექსიკის, ბელგიის, საფრანგეთის არბიტრები. აქ ნათლად გამოჩნდა, რომ ევროპის მსაჯებთან გვაქვს „საერთო ენა". ისინიც სუფთა თამაშის მომხრენი არიან. ხოლო ამერიკელი არბიტრები, როგორც აღვნიშნე, უხეშ თამაშს არ გამორიცხავენ.

3. რადგან სსრ კავშირის ნაკრების მწვრთნელებმა ფედერაციის წინაშე დასვეს ნაკრების წევრთა ერთად თავმოყრის საკითხი, ვფიქრობ, ჰქონდათ ამის საფუძველი. ეს, ალბათ, დაგვეხმარება ოლიმპიადისთვის მზადებაში. მაგრამ ის გუნდები, რომელთა რიგებიც დატოვეს წამყვანმა მოთამაშეებმა, ისეთი ძალით, ცხადია, ვერ გამოვლენ.

გ. აპალიშვილი,

საერთაშორისო კატეგორიის არბიტრი:

1. ჩემპიონატის პირველი დღის მატჩში ვიხილეთ სულ სხვანაირი „სტროიტელი", ტკაჩენკოსა და ბელოსტენის გარეშე.

აღსანიშნავი მიხეილ ქორქიას დაბრუნებას და საერთოდ, ვეტერანთა გამოსვლას. აგრეთვე — ბოროდაჩევის თამაშს.

2. სავსებით ვეთანხმები გომელსკის. სსრ კავშირის ხალხთა VII სპარტაკიადაზე ფიბას 14 საუკეთესო არბიტრი იყო და ყველა ისე მსაჯობდა, როგორზეც გომელსკი მიუთითებს. კალათბურთი მოძრაობაა. ხშირი სასტვენი აფერხებს თამაშს. ძირითადი განსხვავება ჩვენს და დასავლეთის მსაჯობას შორის არ არის. ვიტყოდი მხოლოდ, რომ მათი ჟესტიკულაცია უფრო არტისტულია. სპარტაკიადაზე უცხოელმა არბიტრებმაც აღნიშნეს ჩვენი მსაჯობის მაღალი დონე.

3. რა თქმა უნდა, უარყოფითად. არც ერთ ქვეყანაში ასეთი სისტემა რა არსებობს. დაიშალა კიევის „სტროიტელი", დასუსტდა ლენინგრადის „სპარტაკი". რა შედეგი მოჰყვება ამას, ძნელი სათქმელია.

● ფარიკაობა

თასი — მხოლოდ თბილისელებს

ცხინვალში დამთავრდა საქართველოს თასის გათამაშება ფარიკაობაში. შეჯიბრების 100-მდე მონაწილე მხოლოდ პირადი პირველობისთვის იბრძოდა. ასპარეზობაში თითქმის ყველა ჩვენი უძლიერესი მუშკეტერი გამოვიდა.

შეჯიბრების პირველ დღეს რაპირისტმა ვაჟებმა იასპარეზეს. აქ თბილისელი ვ. აფციაური ბრძოლას ბრძოლაზე იგებდა და დამაჯერებლად მიიწევდა წინ. საბოლოო გამარჯვებაც მას დარჩა.

სხვათა შორის, ვიდრე საქართველოს თასის გათამაშება დამთავრდებოდა, აფციაური დონეცკში გაემგზავრა და სსრ კავშირის უძლიერეს ახალგაზრდა მოფარიკავეთა პაექრობაში ჩაება, სადაც III ადგილი დაიკავა.

აქვე უნდა ვთქვათ, რომ დონეცკში გამართული შეჯიბრება პირველი შესარჩევი ასპარეზობა გახლდათ, რომელსაც მსოფლიოს პირველობის მონაწილე კანდიდატები უნდა დაესახელებინა.

ეს ასპარეზობა გაისად იტალიაში უნდა გაიმართოს.

— საერთოდ, დიდ იმედებს ვამყარებთ ვლადიმერ აფციაურზე, — გვეუბნება საქართველოს მოფარიკავეთა მთავარი მწვრთნელი მ. სახვაძე. — იგი ახალგაზრდა, პერსპექტიული მუშკეტერია. 1962 წელს დაბადებული სპორტსმენი საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის II კურსზე სწავლობს. მან, როგორც გახსოვთ, საკავშირო სპარტაკიადის ფინალურ შეხვედრებშიც გამოიჩინა თავი, როცა რამდენიმე უძლიერესი მოფარიკავე დაამარცხა.

ახლა კვლავ რესპუბლიკის თასის გათამაშებას დავუბრუნდეთ.

ქალთა შორის არ გამოდიოდნენ საქართველოს საუკეთესო მოფარიკავეები ლ. ბერაძე და ლ. ბუხრაშვილი. მიუხედავად ამისა, ასპარეზობამ დაძაბულად ჩაიარა. საბოლოოდ თბილისელებს ი. ჯანაშიას და მ. გეჯაძეს გამარჯვებათა თანაბარი რაოდენობა აღმოაჩნდათ. დამატებით ბრძოლაში კი ჯანაშიამ იყოჩაღა და საქართველოს თასიც მას დარჩა.

სპეციალისტები განსაკუთრებული ინტერესით ადევნებდნენ თვალს დაშნით მოფარიკავეებს. ეს გასაგებიცაა, რადგან საკავშირო სპარტაკიადაზე ჩვენი დაშნით მოფარიკავეები ერთობ უფერულად გამოვიდნენ და გუნდს ქულაც ვერ მოუტანეს. მათგან, ვინც საკავშირო სპარტაკიადაზე გამოდიოდა, გ. ჭილაური ერთადერთი იყო, რომელიც ცხინვალის საფარიკაო ბილიკებზე გამოვიდა. სხვათა შორის, ჭილაურმა ვერც აქ გამოიჩინა თავი და ფინალს მიღმა დარჩა. სამმა თბილისელმა: ლ. კირკიტაძემ, ჯ. გამიაშვილმა და თ. ჰაუპიძემ კი თანაბარი რაოდენობის გამარჯვებები მოიპოვეს. მათ შორის გამარჯვებულის გამოსავლენად დამატებითი ბრძოლები გაიმართა, სადაც საუკეთესო იყო გამიაშვილი.

ხმლით მოფარიკავეთა შეხვედრებში საუკეთესო იყო თბილისელი თ. ესართია.

დასასრულ, გვინდა ერთ დეტალზე შევჩერდეთ: მკითხველი ალბათ ყურადღებას მიაქცევდა იმას, რომ ყველა გამარჯვებული თბილისელია. ეს კი იმაზე მეტყველებს, რომ პერიფერიებში სათანადოდ არ ზრუნავენ ფარიკაობის განვითარებისთვის.

ა. რაჭველიშვილი.

სიჭაბუკის თასზე

ამ დღეებში საქართველოს ალკკ გულრიფშის რაიკომისა და სპორტკომიტეტის ინიციატივით ჩატარდა სიჭაბუკის თასის გათამაშება ფეხბურთსა და კალათბურთში. შეჯიბრებაში რაიონის თითქმის ყველა საშუალო სკოლის გუნდი მონაწილეობდა.

ფეხბურთში თასის მფლობელი გახდა კოდორის საშუალო სკოლის ნაკრები (ფიზკულტურის მასწავლებელი ტ. ჯოლოხავა).

კალათბურთში საუკეთესო იყო დრანდის საშუალო სკოლა (ფიზკულტურის მასწავლებელი გ. კაჭარავა).

შ. ჯალაღონია.

(ჩვენი კორ.).

გულრიფში.

ასპარეზობენ მოსწავლეები

ახლახან გურჯაანში ჩატარდა საქართველოს ჩემპიონატი კალათბურთში მოსწავლე ვაჟებსა და გოგონებს შორის (1962-1963, 1964-65 და 1966-67 წლებში დაბადებულნი).

უფროსი ასაკის ვაჟები დაყოფილი იყვნენ ორ ჯგუფად. როგორც მოსალოდნელი იყო, გაიმარჯვეს თბილისის კალათბურთის სპეციალიზებული სკოლის (დირექტორი ო. ქორქია, მწვრთნელები ს. იმხნელი, ჯ. ნინიაშვილი) და ქუთაისის (მწვრთნელი დოლაბერიძე) გუნდებმა. ფინალური მატჩი საინტერესოდ წარიმართა და დამთავრდა ანგარიშით 100:89 თბილისელთა სასარგებლოდ. არ შეიძლება არ აღინიშნოს ქუთაისელი გელა დარსაძის კარგი თამაში. მან გუნდს შესძინა 46 ქულა. თბილისის გუნდიდან თავი გამოიჩინა კახა ნუცუბიძემ (24 ქულა) და ვალენტინ დერიუგინმა. ავადმყოფობის გამო მთელი ძალით ვერ ითამაშა გუნდის ერთ-ერთმა ლიდერმა, მცველმა გურასპაულმა. გუნდის მწვრთნელები იყვნენ ს. იმხნელი და ჯ. ნინიაშვილი. III ადგილი წილად ხვდათ ნორჩ დინამოელებს (მწვრთნელი ლ. ინწკირველი). გოგონათა ტურნირშიც გამარჯვება კალათბურთის სპეციალიზებული სკოლის გუნდმა (მწვრთნელი რ. ახალაძე) მოიპოვა. II ადგილზეა „ბურევესტნიკი“.

საშუალო ასაკის ვაჟთა გუნდების ფინალურ მატჩში ერთმანეთს შეხვდნენ ნორჩი დინამოელები და სპეციალიზებული სკოლის გუნდი. ანგარიშით 77:71 გაიმარჯვა სპეციალიზებული სკოლის გუნდმა (მწვრთნელი ს. იმხნელი). კარგი შთაბეჭდილება დატოვა დინამოელმა გელა ღლონტმა. გამარჯვებულთაგან საუკეთესონი იყვნენ კორძაია და ხალილოვი, III ადგილზე სოხუმის გუნდი გავიდა.

გოგონათა შორის (64-65 წ) საქართველოს ჩემპიონის ტიტული მოიპოვა სპეციალიზებული სკოლის გუნდმა (მწვრთნელი ს. იმხნელი), II იყო სოხუმის გუნდი.

უმცროსი ასაკის ვაჟთა გუნდების ასპარეზობის ფინალში „დინამოს“ I გუნდმა (მწვრთნელი ლ. ინწკირველი) დაამარცხა სპეციალიზებული სკოლის აღსაზრდელები და ჩემპიონის წოდება მოიპოვა.

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს ჩემპიონატი გურჯაანში საუცხოოდ იყო ორგანიზებული.

მ. კალაძე.

• • •

სურათებზე: საქართველოს ჩემპიონები მოსწავლეთა შორის: თბილისის სპეციალიზებული სკოლის უფროსი ასაკის ვაჟთა გუნდი; ამავე სკოლის გოგონათა გუნდი (64-65 წ.); უმცროსი ასაკის მოსწავლეთა შორის საქართველოს ჩემპიონი „დინამოს“ I გუნდი.

● სპორტი და ტექნიკა

მაგნიტი... თხილამურზე

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტრუქტორებმა და ინჟინრებმა დაამუშავეს მოწყობილობა, რომელიც ავტომატურად ზომავს ტრამპლინიდან შესრულებული ნახტომის სიგრძეს. ასეთი მოწყობილობის პირველი ნიმუშები უკვე გამოუშვა კომბინატმა „რობოსტრონმა“. ისინი რეკომენდებულია ლეიკ-პლესიდის 1980 წლის ზამთრის ოლიმპიადისთვის.

ამ საინტერესო მოწყობილობის პრინციპი ძალზე მარტივად და ორიგინალურად არის გადაწყვეტილი.

მთის ფერდობის მთელ სიგრძეზე თოვლის ქვეშ ჩაწყობილია ინდუქტიური შლეიფები. სპორტსმენის თხილამურზე 15 გრამი წონის მაგნიტი მაგრდება. როგორც კი პატარა მაგნიტი გადაკვეთს პირველ ინდუქტიურ შლეიფს, მასში წარმოიქმნება დენის იმპულსი. იმპულსი ძლიერდება და გამოისახება ინდუქციური ხელსაწყოს ეკრანზე — აღინიშნება ნახტომის სიგრძის შედეგი.

მაგრამ ყოველგვარი ზუსტი გაზომვა თავის ფასს კარგავს თუ მაშინვე მისი შედეგი მაყურებელმა არ შეიტყო. სისტემა „რობოსტრონი“ არა მარტო ზომავს ნახტომის სიგრძეს, არამედ მსაჯებს საშუალებას აძლევს თვალყური ადევნონ ხტომებს ტელევიზორის ეკრანზე. ერთდროულად ხტომის შედეგი მაშინვე გამოისახება სინათლის დიდ ტაბლოზე.

ასეთი ავტომატური მოწყობილობა შეჯიბრებებს უფრო საინტერესოს გახდის — აცხადებენ გერმანელი სპეციალისტები.

●

სტადიონი... თბება

რამდენჯერ გვინახავს, როდესაც ფეხბურთელებს სველ მინდორზე თამაშისას ფეხი უცურდებათ, წაქცეულებს ტანსაცმელი ესვრებათ და უსველდებათ.

და აი, ერთხელ, როდესაც საყვარელი გუნდის თამაშს თვალყურს ადევნებდნენ, პოლონეთის გაერთიანება „ელექტრომონტაჟის“ მეცნიერ-თანამშრომლებს აზრი დაებადათ შეექმნათ მოწყობილობა, რომელიც მინდორს გაათბობდა, ნაწვიმარს გააშრობდა და თამაში უფრო სასიამოვნო გახდებოდა. გაერთიანებაში შეადგინეს ხარჯთაღრიცხვა, პროექტი და მალე სათანადო მოწყობილობაც დაამზადეს.

ვროცლავის სტადიონის ხელმძღვანელთა დახმარებით სპეციალისტებმა ფეხბურთის მოედანზე გათბობის მოწყობილობა დაამონტაჟეს. პირველმა გამოცდამ კარგად ჩაიარა. ფეხბურთის მოედნის ახალი მოწყობილობით დაინტერესდნენ ევროპის სხვა ქალაქების საფეხბურთო კლუბები.

აღსანიშნავია, რომ სპეციალისტებს შესაძლებლად მიაჩნიათ ფეხბურთის მინდვრის გასათბობი მოწყობილობა აგრეთვე გამოიყენონ თვითმფრინავების სადგომებზე, ასაფრენ და დასაშვებ ზოლებზე.

●

შეიქმნება კი კომფორტი?

დღეს მსოფლიოს ბევრ სტადიონზე ცდილობენ რაც შეიძლება მეტი კომფორტი შეუქმნან ფეხბურთის გულშემატკივრებს. მათ ხომ ისიც ეყოფათ, რომ განუზომლად ნერვიულობენ, ყვირიან, სიგარეტს სიგარეტზე ეწევიან. ამიტომ ფრანგმა გამომგონებლებმა გადაწყვიტეს სტადიონზე მაყურებლებისთვის განკუთვნილი დასაჯდომი ადგილების გაუმჯობესება. მიიღეს კიდეც პატენტი ახალ გამოგონებაზე.

გამოგონებების შინაარსი იმაში მდგომარეობს, რომ სტადიონის ხის დასაჯდომები იცვლება გრძელი ჰერმეტიული კონტეინერებით, რომლებიც გაბერვის დროს სავარძლების ფორმებს იღებენ. ეს კონტეინერები სანახევროდ წყლით ივსება.

— ტექნიკური თვალსაზრისით ეს სავსებით შესაძლებელია. მაყურებლები ბევრად უფრო მოხერხებულად იგრძნობენ თავს სტადიონზე. ამიტომ ჩვენ რაიმე მიზეზი არ გვქონდა უარი გვეთქვა ამ ტექნიკური სიახლისთვის პატენტის გაცემაზე ფეხბურთის გულშემატკივარი ავტორებისათვის. — ამბობენ ფრანგი ექსპერტები,— მაგრამ ერთს კი ვშიშობთ: რა დაემართება გაბერილ, ნახევრად წყლით სავსე სავარძლებს იმ შემთხვევაში, როდესაც ადგილობრივი გუნდი წააგებს, ხოლო მის გულშემატკივრებს ჯიბეში დანები ან სხვა მახვილი საგნები აღმოაჩნდებათ?!

ა. ცისკარიძე.

ოლიმპიური შესარჩევი

ბელგიის ოლიმპიელ ფეხბურთელთა გუნდმა ბრიუსელში ოლიმპიადა-80-ის შესარჩევი მატჩი მოუგო ესპანეთის ნაკრებს — 2:1. ანგარიში გახსნეს სტუმრებმა (ლანდაბურუ), საპასუხო ბურთი გაიტანა ვან დენ ბუიზმა, ხოლო გადამწყვეტი — სანდერსმა.

სატურნირო ცხრილი ამ ჯგუფში ახლა ასე გამოიყურება:

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
ბელგია	1	1	0	0	2—1	2
საფრანგეთი	1	0	1	0	1—1	1
ესპანეთი	2	0	1	1	2—3	1

□

ფინელთა პროგრესი

ფინეთში ამ ბოლო დროს შეიმჩნევა ფეხბურთის საგრძნობი პროგრესი და თამაშებისადმი საყოველთაო ინტერესის ზრდა მაყურებელთა მხრივ. გამოითვალეს, რომ ფინეთის 1979 წლის ჩემპიონატის მატჩებს დაესწრო 305.910 კაცი შარშანდელი 221.360-ის წინააღმდეგ.

ფინელ ფეხბურთელთა კლასი აშკარად მაღლდება, ამ ქვეყნის ნაკრებმა კარგი შთაბეჭდილება დატოვა ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ მატჩებში, ცნობილ ფინელ ფეხბურთელებს დიდი გასავალი აქვს უცხოეთის კლუბებში. ასე, მაგალითად, ა. ისმაილი და პ. კუპიაინენი ახლა ბელგიაში გამოდიან, რამდენიმე ფეხბურთელი მიიწვიეს ამერიკის შეერთებული შტატების გუნდებში.

ფინეთის ნაკრები ამ დღეებში ამხანაგური საერთაშორისო მატჩების ჩასატარებლად გაემგზავრა სამხრეთ ამერიკაში. ფინელებმა პირველი თამაში ფრედ დაამთავრეს მექსიკის ეროვნულ გუნდთან — 1:1.

საფრანგეთის კანდიდატურა

საფრანგეთის ფეხბურთის ეროვნულ ფედერაციას გადაწყვეტილი აქვს წამოაყენოს თავისი კანდიდატურა ევროპის 1984 წლის ჩემპიონატისა და მსოფლიოს 1990 წლის ჩემპიონატის დასკვნითი მატჩების ჩასატარებლად.

შტილიკე მადრიდში რჩება

25 წლის უ. შტილიკე, გფრ-ის ნაკრებისა და მადრიდის „რეალის“ ერთ-ერთი წამყვანი ფეხბურთელი, მადრიდში რჩება. „მართალია, ჩემი კონტრაქტი ამ კლუბთან 1980 წლის 30 ივნისს იწურება, მე მაინც ვრჩები აქ. ეს ის კლუბია, რომელთანაც ერთად ბევრ წარმატებას მივაღწიე“, — განაცხადა ერთ-ერთ პრეს-კონფერენციაზე შტილიკემ.

ზ. მაიერის პრობლემა

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკისა და მიუნხენის „ბაიერნის“ მეკარემ ზეპ მაიერმა განვლილ ზაფხულს მძიმე ტრავმა მიიღო საავტომობილო კატასტროფაში. ფეხბურთელი თანდათან გამოჯანმრთელდა და ექიმებისგან უფლება მიიღო შესდგომოდა ვარჯიშს.

მაგრამ სპეციალისტები და მწვრთნელები ეჭვობენ, რომ ზ. მაიერი კვლავ დაიკავებს თავის ადგილს კლუბში. საქმე ისაა, რომ მისი ავადმყოფობის პერიოდში „ბაიერნის“ კარს ბრწყინვალედ იცავდა ახალგაზრდა მეკარე იუნგჰანსი, რომელსაც დასავლეთგერმანიაში დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებენ.

● ჩოგბურთი

კრასნოიარსკში

გაიმართა ჩოგბურთელთა საკავშირო ტურნირი. ერთეულთა შორის გაიმარჯვეს რიგელმა ირინე შევჩენკომ და მოსკოველმა კონსტანტინე პუგაევმა. წყვილებში უძლიერესნი იყვნენ ი. შევჩენკო — ო. ზაიცევა (მოსკოვი) და კ. პუგაევი — ა. ვოლკოვი (მოსკოვი). ამ უკანასკნელებმა ფინალში მოუგეს ბაქოელ რ. ახმეროვისა და თბილისელ ა. მეტრეველის წყვილს.

● ფრენბურთი

ორი ტურნირი

ბერლინი. ბულგარეთის ფრენბურთელთა ნაკრების წარმატებით დამთავრდა XIII საერთაშორისო ტურნირი „განთავისუფლების“ პრიზზე. გამარჯვებულთათვის ყველაზე ძნელი იყო თამაში მოსკოვის არმიელთა ახალგაზრდულ შემადგენლობასთან, რომელთანაც ისინი პირველ 2 პარტიას აგებდნენ (9:15, 7:15) და ზედიზედ მოიგეს 3 შემდგომი პარტია (15:12, 15:8 და 15:11).

ჰონკონგი. ოლიმპიურმა ჩემპიონებმა — იაპონიის ფრენბურთელმა ქალებმა მოულოდნელი დამარცხება იწვნიეს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ნაკრებთან (14:16, 12:15, 16:14 და 10:15) აქ მიმდინარე აზიის ჩემპიონატში. ეს იყო იაპონელთა პირველი მარცხი, ჩინელებმა კი ზედიზედ 4 გამარჯვება მოიპოვეს. ამდენივე გამარჯვება აქვს სამხრეთ კორეის გუნდს და ამასთან დაკავშირებით საგანგებო მნიშვნელობა ენიჭება V ტურის შეხვედრას სამხრეთ კორეისა და იაპონიის გუნდებს შორის.

ჩამოთვლილ გუნდებთან ერთად აზიის ჩემპიონატში მონაწილეობენ ავსტრალიის, ინდონეზიის, ინდოეთის, ჰონკონგისა და სხვა გუნდები. ჩემპიონის წოდების გარდა აქ თამაშდება მოსკოვის ოლიმპიადის ერთადერთი საგზური (გამონაკლისს შეადგენს იაპონიის გუნდი, რომელიც ჩემპიონატის შედეგების მიუხედავად მოსკოვში იასპარეზებს, როგორც წინა ოლიმპიადის გამარჯვებული).

გუშინ მოსკოვში მოეწყო „სპორტლოტოს“ მორიგი, 50-ე ტირაჟები.

„სპორტლოტო 6—49“-დან:

პირველი: 4 (მთამსვლელობა), 8 (ცრივი), 14 (ფრენბურთი), 25 (ტრამპლინიდან ხტომა), 30 (აფროსნობა), 32 (წყალში ხტომა). შეღავათიანი ბურთულა — 3 (აკრობატიკა).

მეორე: 3 (აკრობატიკა), 11 (ველოსპორტი), 16 (ტანვარჯიში), 19 (აკადემიური ნიჩბოსნობა), 25 (ტრამპლინიდან ხტომა), 36 (სლალომი). შეღავათიანი ბურთულა — 44 (ფიგურული ციგურაობა).

„სპორტლოტო 5—36“-დან:

პირველი: 5 (თავისუფალი ჭიდაობა), 23 (წყალში ხტომა), 25 (საციგაო სპორტი), 28 (მშვილდოსნობა), 32 (ფარიკაობა).

მეორე: 7 (ველოტრეკი), 18 (მძლეოსნობა), 27 (თანამედროვე ხუთჭიდი), 28 (მშვილდოსნობა), 29 (ტყვიის სროლა).

რედაქტორი ა. ბასილაია

გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა. რედაქციის მისამართი: 380096, თბილისი, ლენინის ქ. № 14 დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“.
ტელეფონები: რედაქტორი — 99-56-14, 93-97-50; რედაქტორის მოადგილე — 99-56-47; პასუხისმგებელი მდივანი — 93-97-52; განყოფილებები: ფეხბურთის — 99-81-71, 93-97-56; მასობრივ ფიზკულტურული მუშაობის — 93-97-55; სპორტის პროპაგანდის — 93-97-51; მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობის — 93-97-53; ჭადრაკის — 93-97-26: სამხატვრო — 93-97-52; წერილების — 93-97-54; კორექტორები — 93-97-49; გამომშვები — 93-98-81; ფოტოლაბორატორია — 93-97-58; მემანქანეები — 93-97-57.

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, 380096, თბილისი-96, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში, ხოშარაულის, 29.
ИНДЕКС 66435
1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17
უე 07548